

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში
გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის
შედეგები (კონკურში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსი
შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა**

2014 წელი

1.სამართალშემოქმედების სამმართველოს სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მთავარი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე - კონკურსის გამარჯვებული ხ.მესხია.

2.აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე - კონკურსის გამარჯვებული ს. ყოლბაია.

3.სამართალშემოქმედების სამმართველოს სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე - კონკურსის გამარჯვებული ი. კალანდია.

4.აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვა-დაცვის, გამოყენების, ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირების, საქმისწარმოებისა და დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე - კონკურსის გამარჯვებული გ. პარკაია.

5.აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვა-დაცვის, გამოყენების, ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირების, საქმისწარმოებისა და დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე - კონკურსის გამარჯვებული დ. გაბისკირია.

6.ბუღალტრული აღრიცხვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე - კონკურსის გამარჯვებული მ. სართანია.

7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის აპარატის უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე - კონკურსის გამარჯვებული ა. ხაზალია.

8. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის აპარატის მთავარი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე - კონკურსის გამარჯვებული ქ. საჯაია.

9. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის აპარატის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე - კონკურსის გამარჯვებული ი.გუგუშვილი.

2015 წელი

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ბუღალტრის ვაკანტურ თანამდებობაზე - კონკურსის გამარჯვებული მ. სართანია.

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სამართლებრივი დახმარების განყოფილების უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე - კონკურსის გამარჯვებული ე. ფენდერევა.

4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის (შიდა აუდიტი) ვაკანტურ თანამდებობაზე - კონკურსის გამარჯვებული თ.ინალიშვილი.

5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე - კონკურსის გამარჯვებული ვ. კიკნაველიძე.

6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სამართლებრივი დახმარების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე - კონკურსის გამარჯვებული გ. პარკაია.

კონკურსი შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესისა და მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 13 მარტი №8 დადგენილების მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად:

„მუხლი 10. საპრეტენზიო კომისია

1. კონკურსის/ატესტაციის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით იქმნება საპრეტენზიო კომისია.

2. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს დეპარტამენტის თავმჯდომარე.

3. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები (მათ შორის, მოწვეულები). საპრეტენზიო კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობდა ატესტაციის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში, არ შეიძლება იყოს საპრეტენზიო კომისიაში.

4. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

5. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

6. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საპრეტენზიო კომისიის სხდომის თავმჯდომარე და კომისიის წევრები.

8. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

9. კანდიდატს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების გამოცხადებიდან არა უგვიანეს 2 დღისა, ხოლო მოხელეს – ატესტაციის შედეგების გამოცხადებიდან არა უგვიანეს – 2 დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება 3 დღეში, მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დგება ოქმი გამოვლენილი ხარვეზების შესახებ და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება კომისიას.

10. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისია საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით. კომისიას უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს გაფართოებული სხდომა საპრეტენზიო კომისიის წევრთა მონაწილეობით.

მუხლი 11. კონკურსის/ატესტაციის შედეგების გასაჩივრება
კონკურსის/ატესტაციის პროცესთან და შედეგებთან დაკავშირებული დავა წყდება არსებული კანონდებლობის შესაბამისად.